«დროების» რედაქცია —სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дрозба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ; 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა-ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია გერ დაუბ უნებს აგზორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

ф. а. климіс ვეტერბურდელი საბანკირო კანტორა აცხადებს, რომ მან დანიშნა თავის აგენტად ქ. ქუთაისში, 5% შინაგანის მოგებითი სესხის ბილეთების გასაყიდველად—თვე-და-თვე ფულის გადახდით,—და დასაზღვევლად,

ბ-ნი ილია ჯუღნია,

რომლისადმიც მივმართავთ ყველა მსურველებს დაწვრილებითი პირობების შესატყობლად. (5—4)

გენერალი ფადეიევი.

თბილისი, 23 თებერვალს.

ბენერალი ფადეიევი რუსეთის სამხედრო წრეში შესანიშნავი კაცი იყო, როგორც ნიჭიერი და ფრიად განათლებული სამხედრო მწერალი. ფადეიევი გარდაიცვალა წარსულის წლის მიწურულში, და რუსეთის მწერლობაში მისმა სიკვდილმა დიდი მწუხარება გამოიწვია; გაზეთები უძღვნიან თანაგრძნობით სიტყვებს განსვენებულს, ვითარცა წარჩინებულს და გულ-წრფელს მწერალსა და სულით და გულით კეთილშობილს ადამიანსა. ჩვენც ჩვენის მხრით საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველებს ეს კაცი, რომლის შესანიშნავი წერილი კავკასიის და საქართველოს შესახებ ამას წინედ დაბეჭდილი იყო «რუსში» და შემოკლებით გარდმოღებული ჩვენს გაზეთშიაც.

მეტად საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ იყო ის კაკი, რომელმაც დიდი პოლიტიკური წინდახედულობა გამოიჩინა თავის წერილში და ადამიანურად შეხედა საქართველოის მნიშვნელობას. ჩვენ, სწორედ რომ ვთქვათ, მწერლობაში არ შეეხვედრივართ ისეთს ჭეშმარიტს აზრს საქართველოზე, როგორიც ამ უკანასკნელის შესახებ წარმოსთქვა ფადეიევმა. ფადეიევის შეხედულობა საქართველოს მნიშვნელობაზე მით უფრო შესანიშნავია, რომ ის ოთახში შედგენილი კი არ არის, არამედ ნაყოფია სინიდისიერი ადამიანის ხანგრძლივი დაკვირვებისა ჩვენს ცხოვრებაზე. ამას გარდა, ამ წერილზედ, როგორც ვიცით, მიქცეულია ყურადღება უმაღლესს სფერებშიაც.

ფადეიევმა არ მიბაძა იმათ, რომელნიც ან სინამდვილეს ვერა ჰხედვენ, ან და გაბრაზ თვალს არიდებენ მას, რადგანაც ჭეშმარიტებით ხელმძღვანელობა საჭიროდ არ მიაჩნიათ. ფადეიევი კარგა ხანს მსახურობდა კავკასიაში და ჩვენი ხალხიც დაახლოვებით გაცნობილი ჰყავდა.

ბოლოს დროს ფადეიევი დანიშნული იყო იმ კომისიის წევრად, რომელსაც მინდობილი ჰქონდა კავკასიის ახალი მმართველობის წესის შემუშავება,—და, აი, ამ გვარმა კაცმა დასძრა ხმა საქართველოს შესახებ.

თავისი გულწრფელობით და სამართლიანი სჯით ფადეიევმა რუსეთში განსაკუთრებითი ყურადღება დაიმსახურა; როგორც ყოველს წარჩინებულს კაცს, ფადეიევსაც ბევრი მტერ-მოყვარე ჰყავდა. იგი ბევრსა სწერდა, როგორც სამხედრო წყობილებაზე, აგრეთვე რუსეთის შინაურს საქმეებზე. თავის ნაწერებში ფადეიევმა ბევრი ისეთი რამ წარმოსთქვა, რაიცა ზოგიერთებს სასიამოვნოდ არ დარჩენიათ. ბევრი მისი აზრი გამართლებულა, რაიცა კიდევ უფრო გვიმტკიცებს ფადეიევის შორსმჭვრეტელობასა.

განსვენებულს ფადეიევს კიდევ ერთი შესანიშნავი თვისება ჰქონდა: ის არა ჰყვერდებოდა მწერლობის ასპარეზს და თვისი აზრის განხორციელებას შეუდგებოდა ხოლმე პრაქტიკულადაც. ამისათვის არა ზოგავდა არც თავის პირად მშვიდობიანობას, არც ჯანმრთელობასა. სადაც საჭირო იყო, ფადეიევი ყოველთვის იქ გაჩნდებოდა; როცა საჭიროებამ მოითხოვა, ჩერნოგორიაშიც წავიდა, ოსმალებთან ბრძოლის დროს, ეგვიპტეშიც იყო იქაური წეს-წყობილების შეცვლისათვის. იგი მოღვაწეობდა არა მარტო მწერლობაში; ყოველს ღირს-შესანიშნავს საგანს სახელმწიფოისას სინიდისიერად შეისწავლიდა ხოლმე და თავის აზრს წარუდგენდა იმათ, ვიზედაც საქმე დამოკიდებული იყო. ბრაჭმა ლორის-მელიქოვმა, როცა რუსეთის შინაურს პოლიტიკას განაგებდა, მიიახლოვა ფადეიევი და მიანდო მას მრავალი საგნების შემუშავება. რუსეთის მაშინდელი გამგებელი ძლიერ აფასებდა ფადეიევის გონებასა და ცოდნას და ხშირად ხელმძღვანელობდა მისი შეხედულობით და აზრით...

ეხლა ორიოდე სიტყვა ფადეიევის პიროვნობაზედაც. ფადეიევი, როგორც ჩანს, ადამიანი ყოველ-ფრივ ნიჭიერი ყოფილა. ბევრი ლაპარაკობენ, ბევრ ამბავს ამბობენ, ბევრ ანეკდოტებს ყვებიან, ბევრ ბოროტ-ბოროტ ამბავს ამბობენ, ბევრ ბოროტ-ბოროტ

გორც მოწმობენ, იყო ფრიად პატიოსანი გვამი; მას არავითარი სარჩოსაბადებელი არ დაუტოვებია, თუმცა მაღალი ხარისხის კაცი იყო და ხვებსაეით საშუალებაცა ჰქონდა თავის თავიც არ დაეეწყებინა. ფადეიეევ გარდაიცვალა სრულს სილარიბეში ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ.

შინაური ქრონიკა

ჩვენდა სასიამოვნოდ, ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეებს თანდა-თან ეტყობათ სურვილი უცხო მოვაჭრეებისაგან განთავისუფლებისა. მკითხველს ჯერ დავიწყებული არ ექმნება, რომ ამ გვარმა წადილმა თავი იჩინა ხევში მატყლის მწარმოებელთა შორის, ზურიაში თამბაქოს მწარმოებლებში, ქასპში და სხვ. ეხლა ქახეთიდამა გვწერენ, რომ ამ გვარადვე მოქცეულან ზოგიერთა სოფლელები, მაგ. სოფ. ნაფარეულში ხალხს აუკრძალავს უცხო-ტომელების დუქნებში სავაჭროს ყიდვა და ვინც კი ამას გაჰბედავს, სამი მანათი უნდა გადაიხადოს ჯარიმა სოფლის სასარგებლოდ; ამ გვარსავე მაგალითს მიჰბაძეს თურმე ნაფარეულს ახლო მდებარე სოფ. ფშაველის მცხოვრებლებმაც. ამ სოფლებში ვაჭრობა თითონ ქართველებსავე დაუწყვიათ, მაგრამ, კორესპონდენტის სიტყვით, საშიშია, ვაი თუ ქართველებმაც იმ

ზედ გამოჭრილია საბავშო ჟურნალის დანიშნულებაზედ. იგი ადვილი, ფრიად ადვილი შესათვისებელია ბავშვისათვის როგორც შინაარსით, ისე ფორმით. იგი ხატავს სურათს, რომელიც ერთსა და იმავე დროს საზდოს აძლევს გამომხატველობას, გონებას (აცნობებს პეპელას ცხოვრებას) და გულს, რომელშიაც ჰბადავს სიბრალულსა. მეტადრე საუცხოვოა თავი და ბოლო ამ ლექსისა. შუაგულიც რომ უდრიდეს მათ, სამაგალითო რამ იქნებოდა. მაგრამ უნდა გავტყდეთ, რომ შუა წელი ცოტა დაბლა სდგას თავსა და ბოლოზედ როგორც ენის ჰარმონიითა და წყლიანობით, ისე აზრის განვითარებით. ჩვენა გვგონია, რომ პეპელას სიტყვები საკმარისს საბუთს არ შეადგენენ იმისთანა შებრალებისათვის, რომ ბავშვმა ფიცხლავ ხელი უშვას მას, ბავშვმა, რომელსაც ისე უყვარს პეპელას დაჭერა და სინჯვა. პეპელას რომ უფრო კაფიოდ გამოეხატნა თავისი სიცოცხლის სიმოკლე და უფრო შესაბრალისი სიტყვები ეხმარა, უფრო მოსალოდნელი იქნებოდა მისი გაშვება ბავშვისაგან. ისიც ძალიან კარგი იქნებოდა, რომ პოეტს რავდენსამე სტრიქონში გამოეხატნა ის ცვლილება სულისა ბავშვში, რომელიც მოახდინა პეპელას სიტყვებმა და რომლის შედეგი იყო მისი გაშვება. ყოველს შემთხვევაში აკაკის ლექსი საუკეთესო საბავშო ლექსია და შეადგენს ნამდვილს მარგალიტს იანვრის ნომრისას.

გვარადვე მიჰყონ ხელი თავიანთ თანამოძმეების ცარცვას, როგორც უცხო ტომელები სცარცვავდენო. აი სწორედ ამ დროს დიდს სარგებლობას მოუტანდენ ქვეყანას დამზოგველნი ამხანაგობანი, რომელნიც მთელს საზოგადოებას არგებდენ და არა ერთსა და ორს პირს, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენს სოფლებში იმისთანა საქმიანი და სინდისიანი პირნი ცოტანი მოიპოვებიან, რომელთაც შეეძლოთ ამ საქმის მოთავეობა და რიგიანად წაყვანაო.

ამას წინად ერთის პირის განკარგულებით შემოღებულ იქმნა იმერეთში, რომ მღვდლებს არ შეეძლოთ ჯვარის დაწერა, თუ სამეფო რამდენსამე ლოცვას ზეპირად ვერ იტყოდა. ამ სამძიმო განკარგულებას ისიც ემატება თურმე, რომ ჯვარის წერის წინად როგორც საქმრომ, ისე საცოლომ რამდენიმე მოწმობა უნდა წარმოადგინოს ყველანი სამ-აბაზიანი მარკებით: უბრალო მოწმობა, მეტრიკის აღმოწერილობა, აღსარების თქმის მოწმობა და მამასახლისის მოწმობა. ბარდა იმისა, რომ ყოველ ამ მოწმობას მარკის ხარჯი უნდება, მათი დაწერაცა სჭირს წერა-კითხვის უცოდინარ გლეხებისათვის და მეტად ავიწროებს დაქორწინებას. ბანა არ შეიძლებოდა, რომ როგორც საქმროსაგან, ისე საცოლოსაგან თითო მოწმობა მოეთხოვათ, რომელშიაც ყოველ გვარი ცნობები ერთად იქნებოდა მოქცეული.

რა თქმა უნდა, რომ ყოველი ამ გვარი შემავიწროებელი საშუალება მეტის-მეტად აწუხებს ხალხს და აქეზებს თავისუფლად, დაუქორწინებლად, ცოლქმრობის წესზედ ცხოვრებისათვის.

დაბა სურამი ღმერთს ერთი დახელოვნებული ადვოკატით დაუსაჩუქრებია, რომელსაც სურამელები კუდრაჭა-ადვოკატს ეძახიან. ამ ადვოკატმა არ იცის რუსული არც წერა, არც კითხვა, არც ლაპარაკი, მაგრამ ისეთი კარგი გულისა არის თურმე, რომ როდესაც შეხვდება გაჭირვებულ გლეხ-კაცს, ტკბილად ეუბნება მე თუმცა პირდაპირ ლაპარაკი თქვენს მაგიერ სასამართლოში არ შემიძლიან, მაგრამ, მოსამართლე ჩემთან ისეთი დაახლოვებული მეგობარი არის, რომ რასაც ვეტყვი, ყველას შემისრულებსო, და დარიგებას ისეთსა მოგცემ, რომ შენი საქმე ტყუილიც რომ იყოს, მოგებული იქმნებაო, თუ.... ავა და ამდენს ფულს მომცემო.... ბევრს აბრიყვებს თურმე ხსენებული კუდრაჭა ადვოკატი და, რასაკვირველია, ბევრის საქმესაც «გააკუდრაჭებს» ხოლმე, მაგრამ საკვირველი ეს არის—თუ როგორ უთმენს მას მოსამართლე და სასამართლოდამ არ გააძევებს, როდესაც ჰხედავს, რომ ყოველ დღე სასამართლოში სკამზე ხის, აქეთ-იქით თვალებს

ლექსი «ზაალი» ბ. ცახელისა იმავე ნიჭით არის დაწერილი, რომელიც ავტორმა აღმოაჩინა წინანდელს თავის ლექსში «მარინე». მაგრამ ეს მეორე ლექსი ისეთს ძლიერს ჩაბეჭდილებას ვერ სახავს მკითხველის გონებაში, როგორსაც პირველი. ეს ჰხდება შემდეგი მიზეზების გამო: ეს მეორე ლეგენდა და ლექსი თავისი უმთავრესი ნაწილებით ძლიერ წააგავს პირველსა და წარმოგვიდგენს იმავე საქმელს, მხოლოდ სხვა გვარი წვენით შეზავებულს,—გარნა ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ერთი და იგივე საქმელი, რაც უნდა გემრიელად და ოსტატურად იყოს მომზადებული, თუ ზედი-ზედ მიაყოლეთ, გემოსა ჰკარგავს თქვენს პირში და ბევრით ნაკლებ სიამოვნებას გაგრძნობინებთ. სურათიც ისეთი შეკუმშული არ არის, რომელიც იყო წინედ, და ლექსი ცოტა გაგრძელებული, გაჭიანურებულია. ბრძოლას აქ სხვა ხასიათი აქვს, რადგანაც მიქცეულია არა გარეგანი მტრის წინააღმდეგ, არამედ მეზობლების დამარცხება და შემუსვრა აქვს აზრად. ეხა წინანდელს ლექსშიაც კოჭლობდა და აქ ხომ ისეთს უკანონობას წარმოადგენს ლექსიკონის, თუ გრამმატიკის მხრივ, რომ შიგა-და-შიგ მაინც მას ქართული ენა არ დაერქმევა, არამედ უნდა ეუწოდოთ ჟარგონი,—და ეს მიუტევებელი ნაკლულევანება მეტადრე საყმაწვილო ლექსისათვის. ერთს ალაგას, სახელდობ იქ, სადაც ავტორი

მოგვითხრობს ზაალის დაკარგვასა ბრძოლის შემდეგ, სურათის ნაწილები რიგზედ ვერ არიან დალაგებულნი, აზრები არეულ-დარეულია და მათი გაგება არამც თუ ბავშვისათვის, დიდებისათვისაც ძნელია. მაგრამ, მიუხედველად ყველა ამ ნაკლულევანებისა, ლექსი წარმოადგენს პოეტურს ქმნილებას, რომელიც სწორედ რომ მშვენიერი შემატებაა ჩვენი ლიტერატურისათვის. მეტადრე ჩინებულს ჩაბეჭდილებას სახავს დიდისა და პატარა მკითხველის გულში სახე მოსიყვარულე დისა. მისურვებთ, რომ ავტორს ენის კანონიერებისა და სიწორისათვის მიექციოს ჯეროვანი ყურადღება და ბევრი სხვა ხალხური ლეგენდა გაელექსოს, რაშიაც იგი იჩენს მართლა შესამჩნევს ნიჭსა. მხოლოდ «ნობათს» მან უნდა შეურჩიოს უფრო საბავშო ლეგენდები და ამ გვარად რთულნი კი, სადაც სისხლის ღვრას და კაცის მკვლელობას უმთავრესი ადგილი უჭირავს, ბეჭდოს ლიტერატურულს ორგანოებში.

ზღაპარი «ლომ-კაცი» იანვრის წიგნშიაც გათავებული არ არის, დაბეჭდილია მხოლოდ ერთი მეექვსე თავი. ამ თავიდგან სჩანს, რომ ეს თხზულება უბრალო ზღაპარი არ არის, სახეში აქვს მაღალი, ძალიან მაღალი საგნები და მოგაგონებენ ლაბულეს არაკებსა, იმ განსხვავებით, რომ ბ. ბიორგი წერეთელს ბევრით უფრო ფანტასტიკური ტანისამოსი

აფიციცებს და მომჩივან - მოპასუხეს მოსამართლის თვალწინე, ფიქრობ-საქმის გარჩევის დროს, - სხვა - და - სხვა რჩევებს აძლევს!

ერთ რასმესა ვკითხავთ გაზეთ «კავკაზის» რედაქტორს: რა სჯობია: ვაჭრად ყოფნა, თუ ლიტერატურული დალალობა?

წერილი რედაქტორთან. *)

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ წერილისთვის არ დაიშუროთ ადგილი თქვენის გაზეთის უმახლობელესს ნომერში.

თქვენის გაზეთისა 25-ე №-ში დაბეჭდილი იყო საყურადღებო წერილი ქართველი გალობის აღმადგენელი კომიტეტის თავს მეჯდომარის მ. არხიმანდრიტი მაკარისა და არხიმანდრიტის გრიგოლისა, რომლითაც იგინი იწვევენ ქართველთ, მცოდნეთ საქართველოს ეპარქიაში სმარებულ გალობისა. ამავე წერილში გამოცხადებულია მმ. არხიმანდრიტთაგან, რომ ამ გვარი პირი თუ აღმოჩნდა ვინმე, უნდა ეგზამენი დაიჭიროს კომიტეტთან და მორიგდეს ფასში იმ პირობით, რომ ოთხელ დღე ია.

*) მკითხველი დაინახავს, რომ ეს წერილი სრულიად წინააღმდეგია იმისი, რაც გუშინ ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი, მაგრამ საჭიროდ დავინახეთ, რომ ამისთანა მძიმე საქმეში ორთავ მხარეს მიეცეს საშუალება თავის აზრის წარმოთქმისა და თავის საბუთების წარმოდგენისა. რედ.

ჩაუცმევია თავის ზღაპრისათვის, ვიდრე ლაბულესა. ეს გარემოება ნაკლულევანებათაც რომ ჩავთვალოთ, ავტორს მაინც ვერ დავემდურებით, რადგანაც იქმნება მასაც ძალიან გულით სურდა ცოდვილს დედა-მიწას დიდ მანძილზედ არ დაშორებოდა; მაგრამ იძულებული კი გახდა ზღაპრულს ცაში დაეწყო ფრენა. ჩვენ ამ ჟამად ამაზედ მეტს არაფერს ვიტყვით, რადგანაც გათავების შემდეგ ვისაუბრებთ ერცლადა. ოთხი გამოცანა, შედგენილი და გალექსილი აკაკისაგან, ჩინებულია როგორც შინაარსით, ისე ენით. მეტადრე მოსაწონია მეორე და მეოთხე; პირველი კი მეტ-ნაკლებობით ძირს ჩამოუვა ხალხო მშვენიერს გამოცანას წიგნზედ (თეთრი ხნული, შავი თესლი, თესლი მთესავს ეუბნება) და მესამე ბევრით მდარეა სამივე თავის ამხანაგზედ. ეშვიათი გონების სიმახვილე და მშვენიერი ცოდნა ხალხური ენისა სრულს შეძლებას აძლევენ აკაკის გაამდიდროს ჩვენი ლიტერატურა მშვენიერად შედგენილი გამოცანებით. საჭიროა მხოლოდ, რომ მან გამოცანები თხზოს უფრო იმ საგნების შესახებ, რომლებზედაც ხალხს არა აქვს გამოთქმული გამოცანა და ჯერ ჯეროვნით მაინც დაუტეოს შეჯიბრება ხალხის საუკეთესო გამოცანებთან.

(დასასრული შემდეგ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს ქორიძესთან, გარდა კვირა და უქმე-დღეებისა. ამას გარდა დღეში ხუთი საათი უნდა იგალობოს და თუ იგი დაკლდება დანიშნულ საათებს უსაბუთო მიზეზით, მაშინ უნდა გადიხადოს ოთხელ ამ გვარს შემთხვევაში სამი მანეთი ჯარიმა სასარგებლოდ კომიტეტისა.

ეს ძალიან კარგი, ამიტომ რომ, რა გორცა სჩანს მმ. არხიმანდრიტებს სურთ ამით გამართონ კონკურენცია მგალობლებ შორის, ნაკლებ ფასად დაიქირაკონ მგალობელნი და უკეთესი მცოდნე გალობისა მოიპოვონ; მაგრამ, მე მაკვირვებს ის გარემოება, რომ მამა არხიმანდრიტებს ამ საქმის დაწყებაშიეე თითქოს განზრახ სურთ სხვა გვარად მოქმედება. ამათ კარგად იციან, რომ ეხლა ჩვენს თბილისში მდედლად ირიცხებიან ორნი ძმანი კარბელაშვილები, ძენი გარდაცვალებული მღვდლის გრიგოლ კარბელაშვილისა, რომელმაც ამას წინად სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლის მოწაფეთა შორის გააკრა რიგიანი ქართული გალობა. მამა არხიმანდრიტებმა იციან, რომ ეხლა ქართლ კახეთში ქართული გალობა ამ ძმებს კარბელაშვილებზედ უკეთ თითქმის არავინ იცის. ისიც კარგად იციან, რომ ესენი გალობის საქმეში მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ და ერთმა მათგანმა, მ. პოლიეკტოსმა გამოუცხადა კიდეც თბილისის სამღვდელოების კრებას, რომელიც იყო 25 იანვარს ამა 1884 წ., თავის სურვილი, რომ «მზა კარ ჩემი შრომა შეეწიროს საზოგადო ინტერესს და არავითარი ფასის აღება არ მინდა გალობის საქმეშიო». ისიც იციან მმ. არხიმანდრიტებმა, მ. პოლიეკტოსმა წარუდგინა 400 №№ გალობებისა იმავე სამღვ. კრებას, რომელმაც შეამოკლა სამას ნომრამდე, ერთ ხმად აღიარა საკმაოება ამ გალობათა რაოდენობისა და შეადგინა აქტი გადაღებინოს მხოლოდ კარბელაშვილის სიაში მოხსენებულნი გალობანი... მაგრამ მმ. არხიმანდრიტებს მაინც კიდევ კონკურენცია სასარგებლოდ მიაჩნიათ.

ჩვენც დავთანხმდეთ მათ, მაგრამ, რაკი კარგი და იაფ ფასიანი მგალობელის მოშოვება სურს კომიტეტს, რატომ იმას კი არ აცხადებენ, ბ. ქორიძერასა თხოულობს თვითო №-ის გადაღებაში? თუ რომ მგალობელთა კონკურენცია მიაჩნიათ მმ. არხიმანდრიტებს სასარგებლოდ, სამღვდელოების ისედაც ტარიელი ჯიბეებისათვის, უმთავრეს სარჯს, ე. ი. გალობის ნოტებზედ გადაღების დაკმაყოფილებას რატომ აღარ აქცევენ ყურადღებას? ამ სარჯის შესამცირებლად რატომ აღარ უმართავენ კონკურენციას ბ. ქორიძეს? მე ამით არა მსურს ბ. ქორიძის ტოდნა და გამოცდილება უარ ყო. რატომ! იგი ფრიად გამოცდილი და ხელოვანი პირი უნდა იყოს მუსიკისა.... მაგრამ ამ ქართული გალობის საქმეში კი, მ.მ. არხიმანდრიტებს კაღლად სძევთ იზრუნონ თავიანთი ღატაკი და ჯიბე ტარიელი სამღვდელოების სასარგებლოდაც, რომ ამით ასი თუმნების აღაგას ათასი თუმნები არ წაადონ გადასაღები ფასი; ამიტომ უპირველესად საჭირო იყო კომიტეტს გამოეწვია კონკურენცია მუსიკის მცოდნეებში და მათგან შეეტყო ფასი და ღირებულება იმ გალობათა ნოტებზედ გადაღებისა, მაგრამ მმ. არხიმანდრიტთ თითქო პირობა კიდეც შეეკრათ ბ. ქორიძესთან, იმ გვარად ატასდებენ თავიანთ წერილში, რომ მგალობლებმა ქორიძესთან უნდა იარონ დღეში ხუთი საათიო. ნუ თუ მმ. არხიმანდრიტნი უგვე დათანხმდენ ბ. ქორიძეს იმ ფასზედ, რომელსაც იგი თხოულობს სამღვდელოთაგან, რომ ოთხის წლის განმავლობაში ოთვეულს წელს ეძღიოს 6000 მან.? განა შეიძლების სამღვდელოება ამოდენა სარჯს? სიდან? განმეორებით კიტუეი, რატომ კომიტეტი არ კითხულობს მუსიკის მცოდნეთა და გაზეთის საშუალებით არ გამოიწვევს კონკურსენციას? იქნება ერთი ათად ნაკლებ ფასად დაისვან ბ. ქორიძისგან მოთხოვნილ სარჯზე.

ჩვენ ნამდვილის წყაროებიდგან კითხეთ, რომ ამ ორის წლის წინად, როდესაც ქართული გალობის აღმადგენელი კომიტეტის თავს-მჯდომარედ ისევ ოთვლად სამღვდელო, ესლანდელი მმართველი გურიის ეპარქიისა, ალექსანდრე ბანდეზოდა, მაშინ თბილისის სემინარიის ტოროთეატრის დირექტორი ტრუტის გულს მოდგინედ სურდა ქართული გალობისთვის მოეკიდნა ხელი და ეხლაც იმ გალობების გადაღებას, (რომლის სიაც 25 იანვარს მ. კარბელაშვილმა წარუდგინა სამღვდელოების კრებას და რომელიც შეიცავს 300 საგალობო №№-ს თავის ოთვეულ გვარ სარჯით გარდა ბეჭდისა), ესეეე ტრუტი კისრულობს 4000 მან. ამაზედ ბ. ტრუტიმ განცხადება მიართვა მათს ოთვლად უსამღვდელოესობას სამართველოს ექსარხოსს პავლეს და არ შეიძლება არ მიაქციოს თვისი ურადღება ამ განსხვავებას, რომელიცა სჩანს ქორიძისა და ტრუტისაგან ფულის თხოვნაში. გარდა ამისა ტრუტი ამბობს დღეში ერთი საათი ანუ საათ ნახევარი სამეოთვეა, რომ მგალობელმა და გადამღებმა იმუშავონო; საათ ნახევარში ერთი დიდი საგალობელი მაინც უნდა გადაიდეს ნოტზედ პირველის თქმით, მოძახილით და ბანითა, თუ რომ მარჯვე და დახელოვნებული მუსიკის მცოდნე და გადამღებია; ხოლო პატარ-პატარა საგალობლები ორი უთოდ უნდა გადიღოსო, ასე რომ საშუალო რიცხვით რომ ავიღოთ, საათში თითო საგალობელი უნდა გადაიდეს. თუ ასეა, მაშ მამა არხიმანდრიტნი რაღად ამნელებენ საქმეს იმითი, როდესაც ამბობენ დღეში ხუთი საათი უნდა დაჭიდონ მგალობლებმა ბ. ქორიძესთან და იგალობონო? გალობა და დღეში ხუთი საათი?! განა შესაძლებელია მგალობელმა შესძლოს ამოდენა ჯაფა, ისიც ოთხის წლის განმავლობაში?! უთოდ რკინის გული და თავი უნდა ჰქონდეთ ამ გვარს მგალობლებს?! ვსთქვათ, იშოვნონ ასეთი რკინის მგალობელი, მერე როგორ ჰგონიათ მმ. არხიმანდრიტებს, ოთხის წლის განმავლობაში რავდენი საგალობელი უნდა გადიღონ? ბ. ტრუტის ანგარიშით, საათში თითო საგალობლის გადაღება რომ ჩავაგდოთ, ოთვეულ დღე ხუთი საათის მუშაობით უნდა გადაღებულ იქმნას 5-თი №№ საგალობელთა, ხოლო თვე რომ კვირა უქმის გამოტოვებით ოცდა ოთხ დღედ ჩავაგდოთ, ოიოო თვეში გადაიღება 120 №№. ეს ციფრი 120 რომ 12 თვეზედ გავამრავლოთ, წელიწადში 1440 №№ გადაიღება. ახლა აიღეთ ბ. ქორიძის ოთხ წლიანი კადა და 1440 გამრავლეთ 4-ითა და ვნახავთ, რომ ოთხის წლის განმავლობაში 5760 №№ გალობათა გადიღება ნოტებზედ. შემდგომ ამისა ვკითხამთ მმ. არხიმანდრიტებს, —საქრისტიანოში რომელ ხალხს აქვს ამოდენა საეკლესიო საგალობელნი, ნოტზედ დაწერილნი, რომ ბერეკ ქართველებმაც მოვინდომოთ?! მაშინ უოუოდ ჩვენს ეკლესიებში სახარება და სამოციქულოც უნდა გალობით ითქვას, არამც თუ სხვა საკითხავები. ღმერთმან ხელი მოუმართოს, მაგრამ.... რა? მაგრამ... სიდან მეთქი, ბატონო, სიდან? რითი, რა საშუალებით? ჰო, ვთქვათ, რომ სამღვდელოებამ ქვეყნის შემწეობით და ღვთის იმედით 'გაუძღო ამ ზვიადს 30,000 მანეთზედ მეტს სარჯსა *) შემდეგში ამოდენა საუნჯეს ამ გადაღებულს გალობებს დაბეჭდავ აღარ უნდა? ეს რიღათი?

აქ რომ ბეჭდვის ანგარიშსაც შეეუდგეთ, ძალიან გაგრძელდება უმისოდაც გრძელი წერილი და ამისთვის აღარ გაბეზრებ თავს მკითხველთა და მოკრძალით ვეტყვი, რომ საუმჯობესო იქნებოდა კომიტეტს გამოეწვია კონკურენცია მუსიკის მცოდნეთა შორის, მგალობელთა შორის კონკურენცია მაგდენად საჭირო არ იყო იმიტომ, რომ უკეთესნი მგალობელნი კიდევაც მზად არიან, როგორც ზვეით ვსთქვი, უფასოდ იმუშაონ დღეში თითო საათი. ამ გვარად არც საქმე გაჭირდებოდა და იათვადაც გადავიდოდა, მხოლოდ ერთი ზათხუელის განმავლობაში 300 №№ გალობათა, რომელნიც კრებამ მიიღო კარბელაშვილისაგან და რომელნიც შეადგენენ უსაჭიროეს მოთხოვნილებას ჩვენის ეკლესიისას. მაშინ სამღვდელოებაც თანაუგრძნობდა კომიტეტს და საქმეც რიგიანად წავიდოდა.

ცოტა გალობის მცოდნე.

1884 წ. თებერვ. 5.

ხმა-და-ხმა ამბები.

—

უბრალო საშუალება კვერცხის გასინჯვისა. შინდა კვერცხი ჩაუშვათ ციეს წყალში. თუ კვერცხი ახალია და კარგი, იმას მაშინვე დასძირავს წყალი; თუ გაფუჭებულია, ზევ-ზევით დაიწყებს ცურვას.

—

ელექტრონული სინათლე თევზების დასაჭერად. ამერიკელმა მეთევზეებმა სთხოვეს გამოჩენილს ედისონს — ელექტრონული ლამპები გაგვიკეთეო. ედისონმა აუსრულა თხოვნა. ეხლა ამ ლამპებით თურმე იმდენს თევზს იჭერენ ზღვაში, რომ უწინ სიზმარშიაც ვერ წარმოიდგენდენ. ლამპა ისეთი სიმაგრისაა, რომ ძალიან ტრაბადაც ჩაუშვან წყალში, არა ტყდება. ლამპას ამაგრებენ ბადეების შუაგულში, აგდებენ ზღვაში და სინათლეზე მრავალი თევზი ეტანება ბადეს, ასე რომ ძლივს ამოაქვთ ხოლმე, ისე გაიტენება თევზებით.

—

უბედური შემთხვევა. ქრონშტატში მსახურებდა ჩვიდმეტი წლის ქალი, ეკატერინე ვალმერი, რომელმაც თავის ნებით დასტოვა სამსახური, წავიდა ბრენდორფში და იქ დაიმალა თავის ძმის სახლში, სადაც არავინა ცხოვრობდა. რადგან ქალი აღარსად გამოჩნდა, ნათესავებმა, უნაყოფო ძებნის შემდეგ, გადასწყვიტეს გაესინჯათ ხსენებული სახლი. ერთს ყუთში მიადგნენ საცოდავი ქალის გვამს. ბამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ეკატერინე ვალმერი ალბად შიშისაგან დაიმალა ყუთში, რომ ადგილის მიტოვებისგამო ნათესავების საყვედური არ გაეგონა. ყუთში თურმე ეწყო ლეიბი და ბალიშები. ქალი შიგ ჩაწოლილიყო და ყუთის თავი წაეხურა. მაგრამ რადგან ეს ყუთი მაშინის საკეტითა ყოფილიყო მომართული, ქალს შიგნიდამ ველარ გაეღო და, დროებით თავის შესაფარის მაგიერ, ქალმა საუკუნო განსვენება იპოვნა იმ ყუთში. ხაშინელი სანახავი იყო თურმე უბედური მსხვერპლი თავისი გაუფთხილებლობისა. ისე გამოცვლილიყო, რომ ადამიანი ველარ იცნობდა: თმა სულ ერთიან გასჭალარავებოდა მწუხარებისაგან და თვალის კაკლები ბუდიდამ გადმოსცვივნოდენ.

—

ქარიკატურულ ჟურნალ «ფონჯში» დახატულია სამასხარო სურათი შესახებ იმისა, თუ როგორი თვალით უყურებს ინგლისი ეგვიპტეს. ბამოხატულია ჯონ-ბული, რომელსაც ხელში უკავია საღავე და წინ მიუძღვის აქლემს. აქლემი უკან იწევს და აღარ მისდევს ჯონ-ბულსა. ფრანცუზის სალდათი დაცინვით უყურებს ამ სცენას და ეუბნება ჯონ-ბულს:

— ბნებავთ, დაგეხმარებით, რომ ეგ აქლემი შინამდის მიიყვანოთ?

— თქვენი შეელა არ გახლავთ საჭირო—უპასუხებს ჯონ-ბული—თუ აქლემის წინ გაძღოლა დამღალავს, მაშინ ზედ შეეაჯდები და შინ ისე წავალ.

—

პენსილვანიაში ბრანდფორდის რკინი-გზაზე შესაზარი ამბავი მოხდა თურმე ამ დღეებში: წაეკიდა ცეცხლი ნავთის ვაგონს, რომელიც რეზერვში იდგა. ამ დროს მოვიდა სტანციაზე პასაჟირების მატარებელი. ცეცხლის ალი ადის მაღლა და თან ააქვს თურმე თითონ ნავთიც, რომელიც იღვრება პასაჟირის ვაგონებზე და თან ეკიდება კიდეც ცეცხლი. რამდენსამე წამში ეს ვაგონები სულ ცეცხლის ალს მისცემიან. ხალხი იჯგუფება კარებში, ეგებ გამოაწროს უბედურება, სიჩქარით ამტვრევს ფანჯრებს

---

*) 30,000 მანეთზე მეტს რომ ვამბობთ იმიტომ, რომ მგალობლების ჯამაგირი არ გვიანგარიშნია. სამი მგალობელი თვეში 150 მან. რომ ღირდეს, თუ რომ ვიგულისხმეთ დღეში ხუთ საათს მუშაობას, წელიწადში ისინი ეღირებიან 1800 მან. და ოთხ წელიწადს კიდევ 7200 მან.

და იქიდამ ხტება ძირს, სადაც, მხოლოდ ღრმა თოვლის წყალობით, უვნებლადა რჩება. მინც ვერ მოასწრო დროზე გამოსვლა, საშინლად დამახინჯდა თურმე ცეცხლისაგან.

ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

21 თებერვალს.

პეტერბურგი. პეტერბურგში მოვიდა ფლიგელ-ადიუტანტი კაულბარსი, რომელიც წარუდგენს ანგარიშს თავის მოქმედებისას ბულგარიის საქმეთა შესახებ.

ლონდონი. ლორდთა პალატაში გრანვილმა გამოაცხადა, რომ გლადსტონს, როდესაც წარსულ ზაფხულში კოპენჰაგენში იყო, ხმაც არ ამოუღია რუსეთის იმპერატორთან პოლიტიკურ საქმეებზედ.

საზოგადოებათა პალატაში გარკორტმა სთქვა, რომ სასტიკი ზომებია მიღებული მედინამიტეთა წინააღმდეგ, რომელნიც სამზღვარ-გარეთიდან მოდიან; მაგრამ ამ ზომათა შესახებ ვრცელი ცნობების წარმოდგენა ჯერ უდროოა. უკეთუ მმართებლობას დასჭირდება მედინამიტეებთან საბრძოლველად განსაკუთრებული უფლებანი, დაუყოვნებლივ მოსთხოვს იგი პარლამენტს ამ უფლებათა მინიჭებას; მინისტრის ნათქვამი თანაგრძნობით მიიღეს.

გრანვილმა განუცხადა ლორდთა პალატას, რომ უსაფუძვლოა ის ხმები, ვითომც ინგლისის ჯარებს მეწამული ზღვის ნაპირებიდამ უკან იწვევდენ. პალატამ მოიწონა მინისტრის მოხსენება.

ვენგრიის სეიმის დეპუტატთა პალატამ შესამჩნევი ხმის უმეტესობით მიიღო პროექტი მუნკაჩიდამ ბეშკიდერში რკინის გზის გაყვანის თაობაზედ. ამ გზას ეკონომიური მნიშვნელობაცა აქვს და სტრატეგიულიც, რადგანაც იგი აუმჯობესებს ვენგრიის და გალიჩინის შორის მისვლა-მოსვლას და, მაშასადამე, აადვილებს ამ მაზრაში მალე ჯარების შეკრებასაც. მინისტრმა-პრეზიდენტმა, უჩვენა რა გზის სტრატეგიული მნიშვნელობა, სთქვა—მე მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთს ნამდვილად მშვიდობიანად ცხოვრება ჭსურს გერმანიასთან და ავსტრო-ვენგრიასთან, მაგრამ, რადგანაც რუსეთს წინააღმდეგი შემთხვევაც მუდამ სახეში აქვს, ავსტრო-ვენგრიაც იძულებულია სწორედ ამგვარად მოიქცეს.

მოსკოვი. ქალაქის მანეაში 25 თებერვალს იხსნება ფრინველთა გამოფენა, რომელსაც მოსკოვის ფრინველთა მოშენების საზოგადოება მართავს; იქვე იქნება აუქციონი ჯიშიანი ჯრინველებისა და ბაზარი უველანაირი ფრინველის გასასყიდად.

ყარი. გენერალს გრაამს ბძანება მიუვიდა ტრინკიტატში დაბრუნდეს და ელოდოს იქ ინსტრუქციებს.

ბერნი. აქაური ანარხისტების საზოგადოების პრეზიდენტი კენნელი დაატუსაღეს; იმას ბრალდება ჩვეულებრივი დანაშაულობა.

ზაგრები. დაატუსაღეს ხუთი მუშა-სოციალისტი; ერთს მათგანს უპოვნეს წერილები, რომლებიდგანაც სჩანს, რომ აქაურს სოციალისტებს კავშირი აქვთ პეშტის, ლიუცერნის და ციურიხის სოციალისტებთან.

რადიკალური დასის წინამძღოლის გაზეთი «თავისუფლება» აიკრძალეს.

22 თებერვალს.

პეტერბურგი. გუშინ ხელმწიფე იმპერატორი სახლობითურთ გატჩინოში გადასახლდა საცხოვრებლად.

თურქესტანის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გვარდიის შტაბის უფროსი როზენბახი; ხოლო ჩერნიაევი — სამხედრო რჩევის წევრად.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში გარტინგტონმა გამოაცხადა, რომ ტუილიერის ხმა, ვითომც გრაჭამს ბძანება მიეღოს ტრინკიტატში დაბრუნებისა.

ოდესა. ეკონომიურმა კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლონ, რათა მომავალს კრებას ხარკოვში მიეცეს ნება განსაჯოს ის ზომები, რომელნიც საქონლის ჭირის წინააღმდეგ უნდა ხმარებულ იქმნან სამხრეთ რუსეთში; ეთხოვოს, მთავრობას აგრეთვე რომ ფილოქსერას ასაციელებლად, ყირიმდამ და კავკასიიდამ სხვა ადგილებში ვაზების წაღების ნება არავისა ჰქონდეს.

განცხადებანი

პ. ღულუკიძის სტამბა

ქუთაისში

დაბეჭდა და გამოიდა ქართული «ძველის ძალენდარი», სადაც არის სომხური დღესასწაულების ცნობები და ისტორიული შემთხვევები.

ფასი სამი აბაზი

ას-ასობით მყიდველს წესიერი პატივი.

—

ისყიდება

«ვეფხის ტყაოსანი» შ. რუსთველის თხზულება სურათით, ათი შაური, უსურათოდ შვიდი შაური ას-ასობით მყიდველს წესიერი პატივი. (30—30)

ქალაქის გამგეობა.

საყოველთაოდ აცხადებს—ყვავილით ავადმყოფობა რომ მეტისმეტად არ გავრცელდეს ყვავილის აცრის კომიტეტმა საჭიროდ დაინახა ურჩევოს ქალაქის მცხოვრებლებს, რომ ყვავილი ააცრევინონ. ყვავილს შემდეგ 11 ადგილას უცრიან:

1) ქალაქის სამკურნალოში (лечебница) 10 საათიდამ 11-მდინ.

2) დოქტორი პავლოვსკის სამკურნალოში 11 საათიდამ 1-მდინ.

3) დოკტორი ნავასარტიანცის სამკურნალოში ცხრიდამ 10½ საათამდინ.

4) I პოლიციის უჩასტკაში (კალიუჩაია ბალკა) 10-დამ 11 საათამდინ.

5) III პოლიციის უჩასტკაში (მუხრანიანთ ქუჩაზე) 10 საათიდამ 11 საათამდინ.

6) ვეკმანის აფთექის განყოფილებაში (აბანოებთან) 10 საათიდგან 11 საათამდინ.

7) დოქტორი ბახეტროვის სახლში (აბას აბათის ქუჩა. შაბუროვის სახლი) 10-დამ 11 საათამდინ.

8) ავლაბარში (კონსტანტინეს ქუჩა სახლი № 11) 8 საათიდგან 10 საათამდინ.

9) კუკიაში (მიხეილის ქუჩა, ამირბეგოვის სახლი № 3) 8 საათიდამ 10 საათამდინ.

10) კუკიაში (ავჭალის ქუჩაზე მირზოევის სახლში № 18) ორი საათიდგან 4 საათამდინ შუადღის შემდეგ.

11) VIII პოლიციის უჩასტკაში 1 საათიდგან 4 საათამდინ შუადღის შემდეგ.

ამას გარდა, ყვავილით ავადმყოფების ნივთთა უფასო დეზინფექციისთვის გამგეობას გამართული აქვს ორი კამერა. ვინც ადნიშნულს დეზინფექციას საჭიროებენ, გამგეობა სთხოვს, გამოუგზავნონ თავისი ნამდვილი ადრესი; გამგეობა თვითონ მიატანინებს კამერაში ნივთებს და უკანაც თვითონვე მიუტანს პატრონს. (2—2)

საგლობუსო კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, უოტელის „ხელისათვის"—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანცელარტები, რეგულები, ლაქი, კარანდაში, ბენზელი, კალმები, ბუმაგნიკები, ბორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშვები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თუთრეულისათვის, პატარა სალესი ლატკისათვის კლიონკები. ტასტები, საკარძლები, სარკეები, საკარცხლები, ბეზმენნი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-სათები, კომპასები, ტერმომეტრები, ძეწკვები, ნემსები, მაგნატები, სკისტოკი, ბომბჩი, ქამრები, სარტყლები. საუკეთური, ბრობკები, საბრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკა თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კოკაგები, საუკეთო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—36)

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 თებერვალიდამ 1 მარტამდე 1884 წ.

გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა—	—1	კირ.	5 კ.
აქაურის ფქვილისა: პირველის სარისხისა—	—1	ბ.	3 კ.
მეორისა— —	—1	ბ.	2½
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:			
პირველის სარისხის—	1	ბ.	5 კ.
მეორისა —	—1	ბ.	3½
მესამისა —	—1	ბ.	3 კ.
ჯვარის-მამის პური:			
პირველის სარის. ლავაში	1	ბ.	5 კ.
მეორის სარის. ლავაში	1	ბ.	4 კ.
მესამისა —	—1	ბ.	3½
ძროხის ხორცი:			
პირველის სარისხის—	1	ბ.	9 კ.
მეორის —	—1	ბ.	8 კ.
სუკი . . .	—1	ბ.	16 კ.
ცხვრის ხორცი	—1	ბ.	9 კ.
ღორის ხორცი:			
პირველის სარისხის	—1	ბ.	8 კ.
მეორის —	—1	ბ.	7 კ.

რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით.

თბილისიდამ სამურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 11 საათზედ და 11 წამ ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ 10 საათზედ და 23 წამ. დილისა.

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა.

ფოთიდამ ⅆ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 7 საათ. და 49 წამ. დილისა.

Позв. цензур. Тифлисъ, 22 Февраля 1884г. ექ. ხელაძის სტამბა (*Типографія Е. Хеладзе*). გამომცემელი ბ. ძ. რთველიშვილი. **რედაქტორი** ი. მაჩაბელი.